

შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია ”

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი	
მოგება-ზარალის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6-12

შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები		319	4,184
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(137)	(3,261)
საერთო მოგება		182	923
ადმინისტრაციული ხარჯი	6	(283)	(1,040)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		93	22
სხვა შემოსავალი			2
სხვა არასაოპერაციო ხარჯები/ნეტო		(85)	-
მოგება დაბეგვრამდე		(93)	(93)
მოგების გადასახადის ხარჯი			(7)
წმინდა ზარალი/მოგება		(93)	(100)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი
მარიამ როჭიკაშვილი

შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-19	2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	5	20	18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		571	640
გადახდილი ავანსები		16	58
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		4	5
წინასწარ გადახდილი გადასახადები		6	158
სულ მიმდინარე აქტივები		618	879
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	102	264
არამატერიალური აქტივები		6	9
სულ გრძელვადიანი აქტივები		108	273
სულ აქტივები		725	1,152
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		314	408
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები		249	362
მიმდინარე სასესხო ვალდებულება			127
სულ მიმდინარე ვალდებულებები		563	897
სულ ვალდებულებები		563	897
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		943	943
გაუნაწილებელი მოგება		(781)	(688)
სულ საკუთარი კაპიტალი		162	255
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		725	1,152

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი
მარიამ როჭიკაშვილი

შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2019	943	(688)	255
პერიოდის მოგება	-	(93)	(93)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	943	(781)	162

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს

 დირექტორი
 მარიამ როჭიკაშვილი

შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ათას ლარში)

	2020	2019
მოგება დაზღვევამდე	(93)	(93)
კორექტირება	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	65	77
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	64	(270)
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	42	(21)
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	1	4
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		(77)
(ზრდა)/კლება გადასახდელ გადასახადებში		280
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(91)	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(12)	(100)
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან ძირითადი საშუალებების შეძენა	 135	 (8)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	135	(8)
 ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან სესხის აღება	 14	 190
სესხის გადახდა	(140)	(64)
კაპიტალის შემცირება		(120)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(126)	6
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(3)	(102)
საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებზე	5	(6)
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	18	126
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	20	18

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი
 მარიამ როჭიკაშვილი

1. შესავალი

კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2017 წლის 21 თებერვალს და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405191545.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტურისტული სააგენტოების საქმიანობები

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გ. კარტოზიას ქ., N 8, კორ. 8, ბ. 62

კომპანიის მეწილეები: შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“-ს 100 % წილის მფლობელია სამერ ელ დებეს 108-17-L013607, 009658963, 011753721, 104-15-0098898 /სირიის არაბთა რესპუბლიკა/

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა რაოდენობა შედგებოდა 16 ადამიანისგან.

წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს კომპანიების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ლარში. ფინანსურ ელემენტთან დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

2. მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (IFRS for SME) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB-ის) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძვლად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების მეთოდი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების ზარალიანობა და საჭიროების შემთხვევაში, ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპები

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება ნაშთის შემცირებადი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტები ჯგუფების მიხედვით შემდეგია:

ჯგუფი	ცვეთის კოეფიციენტები
ავტომანქანები	10%
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	15-20%
ავეჯი	15-20%
ინვენტარი	15-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15-20%

მარაგები

კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაციდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება/გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი,

შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	2020	2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1	7
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	19	3
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	8
სულ ფულადი სახსრები	20	18

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2020	2019
იჯარის ხარჯი	33	70
მარკეტინგული ხარჯი	24	84
მივლინების ხარჯი	8	49
საკონსულტაციო ხარჯი	11	52
საწვავის ხარჯი	5	30
სხვა ხარჯი	30	139
ცვეთის ხარჯი	69	77
ხელფასის ხარჯი	103	540
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	283	1040

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპ.ტექნიკა	ავტო	ინვენტარი	ავტომანქანა	იჯაროთ აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ბალანსი 31.12.2018	61	53	2	136	173	424
შეძენა	8	-	1	-	-	9
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	69	53	3	136	173	432
შეძენა	-	-	-	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-	136	-	(136)
ბალანსი 31.12.2020	69	53	3	-	173	297
ცვეთა	კომპ.ტექნიკა	ავტო	ინვენტარი	ავტომანქანა	იჯაროთ აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ბალანსი 31.12.2018	(15)	(14)	-	(19)	(48)	(424)
დამატება	(13)	(10)	-	(15)	(35)	(135)
შემცირება	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2019	(28)	(24)	-	(33)	(83)	(559)
დამატება	(14)	(10)	(1)	(6)	(35)	(173)
შემცირება	-	-	-	39	-	-
ბალანსი 31.12.2020	(42)	(34)	(1)	-	(118)	(731)
საბალანსო ღირებულება						
ბალანსი 31.12.2018	46	39	2	117	124	329
ბალანსი 31.12.2019	41	29	2	102	90	264
ბალანსი 31.12.2020	27	19	2	-	55	102

8. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში კომპანია იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაუპირისპირი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

9. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ აღდგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.

შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“
მოგება-ზარალის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	შენიშვნები	2020	2019
ამონაგები		319	4,184
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(137)	(3,261)
საერთო მოგება		182	923
ადმინისტრაციული ხარჯი	6	(283)	(1,040)
ნეტო კურსთა შორის სხვაობა		93	22
სხვა შემოსავალი			2
სხვა არასაოპერაციო ხარჯები/ნეტო		(85)	-
მოგება დაბეგრამდე		(93)	(93)
მოგების გადასახადის ხარჯი			(7)
წმინდა ზარალი/მოგება		(93)	(100)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი
მარიამ როჭივაშვილი



შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	31-დეკ-19	2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	5	20	18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		571	640
გადახდილი ავანსები		16	58
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები		4	5
წინასწარ გადახდილი გადასახადები		6	158
სულ მიმდინარე აქტივები		618	879
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	102	264
არამატერიალური აქტივები		6	9
სულ გრძელვადიანი აქტივები		108	273
სულ აქტივები		725	1,152
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		314	408
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
მიღებული ავანსები		249	362
მიმდინარე სასესხო ვალდებულება			127
სულ მიმდინარე ვალდებულებები		563	897
სულ ვალდებულებები		563	897
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		943	943
გაუნაწილებელი მოგება		(781)	(688)
სულ საკუთარი კაპიტალი		162	255
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		725	1,152

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი
მარიამ როჭიკაშვილი



შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“
 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
 (თანხები მოცემული ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2019	943	(688)	255
პერიოდის მოგება	-	(93)	(93)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
31 დეკემბერი, 2020	943	(781)	162

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი
 მარიამ როჭიკაშვილი



შპს „ვოიაჟ ტურს ჯორჯია“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(თანხები მოცემული ათას ლარში)

	2020	2019
მოგება დაბეგვრამდე	(93)	(93)
კორექტირება	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	65	77
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	64	(270)
(ზრდა)/კლება გადახდილ ავანსებში	42	(21)
კლება/(ზრდა) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1	4
(ზრდა)/კლება გადასახდელ გადასახადებში		(77)
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		280
(კლება)/ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(91)	-
ფულადი ნაკადების შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან	(12)	(100)
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	135	(8)
ფულადი ნაკადების გასვლა საინვესტიციო საქმიანობიდან	135	(8)
 ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის აღება	14	190
სესხის გადახდა	(140)	(64)
კაპიტალის შემცირება		(120)
ფულადი ნაკადების შემოსვლა საფინანსო საქმიანობიდან	(126)	6
 ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(3)	(102)
საკურსო სხვაობა ფულად სახსრებზე	5	(6)
 ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	18	126
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	20	18

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2021 წლის 29 სექტემბერს

დირექტორი

მარიამ როჭიკაშვილი

